დავით აღმაშენებლის გამზირი №38

(არქიტექტურული კვლევა)

დავით აღმაშენებლის გამზირის (ყოფილი მიხეილის ქუჩის) განაშენიანებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს №38 სახლს.



დავით აღმაშენებილს გამზ. №38

უბნის განაშენიანება XIX ს-ის შუა პერიოდიდან დაიწყო - მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენებულ ახალ რაიონში კუკიიდან დიდუბემდე გამოიკვეთა ქალაქის კიდევ ერთი მთავარი არტერია – მიხეილის (დღევანდელი აღმაშენებლის გამზირი) და მისი პარალელური და გადამკვეთი ქუჩების ქსელიც მალევე ჩამოყალიბდა. ეს თბილისის ყველაზე რეგულარულად დაგეგმარებული ნაწილია – მოზრდილი კვარტლები მოქცეულია ურთიერთ პარალელურსა და პერპენდიკულარულ ქუჩებს

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

შორის, რასაც ხელი შეუწყო ადგილის სწორემა რელიეფმა. ბაღების ვრცელი მასივებით დაფარული უბანი, ამავე დროს დიდი საცხოვრებელი და შემოსავლიანი სახლებით, საზოგადოებრივი და საკულტო შენობებით განაშენიანდა.

ცვლილებები კარგად ჩანს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის რუკებზე - ***1867 წლის რუკაზე*** ეს მიკროუბანი ნაკვეთებად არის დასაზღვრული. საპროექტო შენობის ტერიტორია, ყოფილი მიხეილის (აღმაშენებლის გამზირი) და "სემიონოვსკაიის" (დღევანდელი) ქუჩების გადაკვეთასთან სწორ ნაკვეთებად არის გაყოფილი და უკვე განაშენებელია.



1867 წლის და 1902 წლის თბილისის რუკები

1902 წლის რუკაზე ქუჩების ქსელი არხებითად დღევანდელს შეესაბამება. საპროექტო ტერიტორიაზე – მიხეილის და "სემიონოვსკაის" ქუჩების განაშენიანება უკვე ფორმირებულია.

ქუჩის, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნეების პირველ ათწლეულებში ჩამოყალიბებული მხატვრულ-არქიტექტურული სახე თითქმის უცვლელად იყო შენარჩუნებული ბოლოდროინდელ რეკონსტრუქციამდე.

აღმაშენებლის გამზ. №38 – ორსართულიანი სახლი საკმაოდ გრძელი მთავარი ფასადითა და თავისებური ტირმული დეკორით გამოირჩევა (ტორსოს ფასადით შენობა ვარციხის ქუჩისკენ გადის) - ქართული ისტორიული არქიტექტურული ფორმებისა და მოტივების გამოყენება; მათი ერთგვარი სტილიზაციის გზით

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

დამოუკიდებელი "ქართული სტილის" შექმნის მცდელობას წარმოადგენდა (თ. გერსამია). ამ ჯგუფის ნიმუშები 1880-იანი წლებიდან გვხვდება. ისინი შედარებით მცირერიცხოვანია, თუმცა მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ იმდროინდელი თბილისის არქიტექტურულ მემკვიდრეობაში. განსხვავებულია თითოეული მათგანის მხატვრული ღირებულებაც.



დავით აღმაშენებლის გამზ. №38

სოლოლაკში, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №22-ში მდენარე, არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის მიერ დაპროექტებული საცხოვრებელი სახლი, რომელიც ე.წ. "ქართული სტილის" ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია ჭარბი დეკორით, ერთგვარად ტენდენციურადაც კია გამდიდრებული; მაშინ როდესაც აღმაშენებლის ქ. №38 სახლის ფასადში სადა კედლის სიბრტყის მნიშვნელობაა გამოკვეთილი. უფრო "კონკრეტულია" კედლის სიბრტყის სისადავესა და დეკორს შორის კონტრასტები.

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

საფასადო რიტმი ხაზგასმულია ფრომტონებითა და ღიობების დეკორატიული თაღედით. თვალსაჩინოა ერთგვარი სეკულარიზაციის მომენტი მოტივების შერჩევაში - ცენტრალური ფრონტონის ქვეშ, კარნიზის გასწვრივ მსხვილი გირჩები, ღიობების თავზე მართკუთხა პარალელეპიპედებში ჩასმული დეკორიც და თაღოვან სიბრტყეში მოქცეული "ფრთისებრი" ორნამენტიც საეკლესიო არქიტექტურის გამოძახილია.

ერთი შეხედვით სიმეტრიული ფასადის წონასწორობა რამდენადმე დარღვეულია ეზოში შესასვლელი დიდი თაღის (რომელიც შენობის სიმეტრიის ღერძია) ორ მხარეს განვითარებული გრძივი მონაკვეთების განსხვავებული მხატვრული დამუშავებით: თუ მარცხენა ნაწილი დეკორაციული პროფილებით, სამნაწილედი თაღედით, ფრონტონებითა და ორი აივნით რიტმულად არის აქცენტირებული; მარჯვენა მონაკვეთი სავსებით შეუმკველია - მხოლოდ ოდნავ შვერილი სართულშუა სარტყელით, სადა პილასტრებით, "მინიმალისტურად" პროფილირებული კარნიზითა და ლითონის აჟურულმოაჯირიანი ერთი აივნით არის გაფორმებული.

კონტრასტულია რიზალიტისებრ გამოყოფილი შუა ნაწილი, რომელიც მოზრდილი თაღისა და მის თავზე სიმეტრიულად განლაგებული მომცრო თაღედისაგან სედგება, რომელთაგან შუა თაღი ყრუა, კიდურა თაღებში კი, პირდაპირ კედლის სიბრტყეშია გაჭრილი მცირე ღიობები.

შენობის პირველ სართულზე განლაგებული სავაჭრო ობიექტები ბოლო ათწლეულებში საქმიანობის შესაბამისად არაერთხელ გადაკეთდა, როგორც ინტერიერები, ისე ფასადზე გამავალი ღიობები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა პირველი სართულის საფასადო სახე - ყოველი მონაკვეთი სპონტანურად, ერთიმეორის გაუთვალისწინებლად არის გაკეთებული. ვიტრინების ღიობებს განსხვავებული ზომები აქვს - ყოველი „სეგმენტი" ერთმანეთისგან განსხვავებულად არის გაფორმებული, რის გამოც პირველი სართულის საფასადო სახე მოუწესრიგებელი და უსახურია. ამჟამად აქ მაღაზიები, ლომბარდი და ტანსაცმლის ატელიეა განლაგებული.

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

არის გაფორმებული, რის გამოც პირველი სართულის საფასადო სახე მოუწესრიგებელი და უსახურია. ამჟამად აქ მაღაზიები, ლომბარდი და ტანსაცმლის ატელიეა განლაგებული.



დასკვნა და რეკომენდაციები

გასათვალისწინებელია შენობის მაღალმხატვრული ღირებულება, რომლის პირველი სართული ძალიან სახეცვლილი და დაზიანებულია.

საპროექტო წინადადებით განზრახულია შენობის პირველი სართულის ერთ-ერთი ვიტრინის ღიობში "პრივატბანკის" კუთვნილი ბანკომატის განთავსება.

- წარმოდგენილი საპროექტო წინადადების განხორციელება დასაშვებია - ვიტრინის ღიობში ბანკომატის განთავსება არ შეცვლის შენობის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს.
- სამომავლოდ სასურველია შენობის პირველი სართულის საფასადო სახის ერთიანი პროექტით მოწესრიგება - ვიტრინებისა და აბრების ერთიანი დიზაინით გაფორმება.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ. I, 1960; ტ. II, 1961.
2. თ. ბერიძე, თბილისის გარეუბნები, თბ., 1977.
3. თ. გერსამია, "ქართული სტილი" თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე.

Print to PDF without this message by purchasing novaPDF (http://www.novapdf.com/)